

შპს „მეგაიქსი MEGAX„

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	6

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	7
2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	7
4. ძირითადი საშუალებები -----	13
5. არამატერიალური აქტივები -----	14
6. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები -----	14
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები -----	14
8. მარაგები -----	15
9. გრძელვადიანი სესხები -----	15
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები -----	15
11. ამონაგები -----	15
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები -----	16
13. მიწოდების დანახარჯები -----	16
14. სხვა შემოსულობები/ზარალი -წმინდა -----	16
15. ფინანსური შემოსავალი -----	17
16. ფინანსური ხარჯი -----	17
17. ფინანსური ინსტრუმენტები -----	17
18. პირობითი ვალდებულება -----	18
19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება -----	18
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----	18

შპს „მეგაიქსი MEGAX,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	შენიშვნა	31/12/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	145 759	194 443	140 956
არამატერიალური აქტივები	5	1 230	1 873	3 226
სულ გრძელვადიანი აქტივები		146 989	196 316	144 182
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	663 536	737 548	488 452
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	567 949	495 473	505 284
მარაგები	8	1 096 255	2 088 607	2 080 207
საგადასახადო აქტივები		222 632	162 247	220 534
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 550 372	3 483 876	3 294 477
მთლიანი აქტივები		2 697 360	3 680 192	3 438 659
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		34 814	34 814	34 814
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(736 060)	331 903	565 791
		(701 245.62)	366 717.38	600 605.06
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	895 725	602 235.0	372 795.8
ანარიცხები		33 584	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		929 308.7	602 235.0	372 795.8
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2 442 019	2 711 240	2 295 840
საგადასახადო ვალდებულებები		27 278.2	0	169 418
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 469 297	2 711 240	2 465 258
მთლიანი ვალდებულებები		3 398 606	3 313 475	2 838 054
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 697 360	3 680 192	3 438 659


დირექტორი:
ც.საგანელიძე

მთავარი ბუღალტერი :


შპს „მეგაიქსი MEGAX,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

აქტივები	შენიშვნა	31/12/2019	12/31/2018	1/1/2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	145 759	194 443	140 956
არამატერიალური აქტივები	5	1 230	1 873	3 226
სულ გრძელვადიანი აქტივები		146 989	196 316	144 182
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	663 536	737 548	488 452
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	567 949	495 473	505 284
მარაგები	8	1 096 255	2 088 607	2 080 207
საგადასახადო აქტივები		222 632	162 247	220 534
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 550 372	3 483 875	3 294 477
მთლიანი აქტივები		2 697 361	3 680 191	3 438 659
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		34 814	34 814	34 814
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(736 059)	331 902	565 791
		(701 245)	366 716	600 605
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	895 725	602 235	372 7956
ანარიცხები		33 584	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		929 309	602 235	372 796
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	2 442 019	2 711 240	2 295 840
საგადასახადო ვალდებულებები		27 278	0	169 418
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 469 297	2 711 240	2 465 258
მთლიანი ვალდებულებები		3 398 606	3 313 475	2 838 054
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 697 361	3 680 191	3 438 659

დირექტორი:
ც.საგანელიძე



მთავარი ბუღალტერი :



შპს „მეგაიქსი MEGAX„

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	შენიშვნა	31/12/2019	12/31/2018
ამონაგები	11	5 382 746	9 246 461
თვითღირებულება		(3 760 948)	(6 326 080)
საერთო მოგება		1 621 798	2 920 381
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1 562 906)	(1 778 701)
მიწოდების დანახარჯები	13	(525 359)	(932 463)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(152 826)	(13 404)
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		(619 293)	195 813
ფინანსური შემოსავალი	15	9 503	10
ფინანსური ხარჯი	16	(70 874)	(52 313)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(61 371)	(52 303)
მოგება დაბეგვრამდე		(680 664)	143 510
მოგების გადასახადი		(58 719)	(15 787)
წმინდა მოგება		(739 382)	127 723
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		(739 382)	127 723

დირექტორი:
ც.საგანელიძე

მთავარი ბუღალტერი :

შპს „მეგაქსი MEGAX“


მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	შენიშვნა	31/12/2019	12/31/2018
ამონაგები			
თვითღირებულება	11	5 382 746	9 246 461
		(3 760 948)	(6 326 080)
საერთო მოგება		1 621 798	2 920 381
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1 562 906)	(1 778 701)
მიწოდების დანახარჯები	13	(525 359)	(932 463)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(152 826)	(13 404)
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		(619 293)	195 813
ფინანსური შემოსავალი	15	9 503	10
ფინანსური ხარჯი	16	(70 874)	(52 313)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(61 371)	(52 303)
მოგება დაბეგვრამდე		(680 664)	143 510
მოგების გადასახადი		(58 719)	(15 787)
წმინდა მოგება		(739 382)	127 723
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(739 382)	127 723

დირექტორი:

ც.საგანელიძე



მთავარი ბუღალტერი :



შპს „მეგაიქსი MEGAX„
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	34 814	565 791	600 605
წმინდა მოგება	-	127 723	127 723
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	127 723	127 723
გაცემული დივიდენდი	-	(361 611)	(361 611)
2018 წლის 31 დეკემბერი	34 814	331 903.38	366 717
წმინდა მოგება	-	(739 382)	(739 382)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(739 382)	(739 382)
გაცემული დივიდენდი	-	(328 581)	(328 581)
2019 წლის 31 დეკემბერი	34 814	(736 060)	(701 246)

დირექტორი:
 ც.საგანელიძე


მთავარი ბუღალტერი :

შპს „მეგაიქსი MEGAX“,
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს


(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	34 814	565 791	600 605
წმინდა მოგება	-	127 723	127 723
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	127 723	127 723
გაცემული დივიდენდი	-	(361 612)	(361 611)
2018 წლის 31 დეკემბერი	34 814	331 902	366 717
წმინდა მოგება	-	(739 382)	(739 382)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(739 382)	(739 382)
გაცემული დივიდენდი	-	(328 579)	(328 581)
2019 წლის 31 დეკემბერი	34 814	(736 059)	(701 246)

დირექტორი:
 ც.საგანელიძე



მთავარი ბუღალტერი:



შპს „მეგაიქსი MEGAX„
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

ლარი	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(739 382)	127 723
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	(104 532)	63 210
- გადასახადები	58 719	15 787
- ცვეთა	50 945	40 089
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	73 040
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(152 826)	(13 404)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(61 371)	(52 303)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	651 133	305 679
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(72 475)	9 811
- მარაგები	992 353	(8 400)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(269 221)	415 400
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(33 107)	(111 131)
- ანარიცხები	33 584	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(192 781)	496 612
- გადახდილი პროცენტები	(58 643)	(44 749)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(251 424)	451 862
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(2 600)	(92 477)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 600)	(92 477)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულების ზრდა	293 490	229 439
- გადახდილი დივიდენდები	(328 581)	(361 611)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(35 091)	(132 171)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)	(289 115)	227 214
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	737 548	488 452
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	215 103	21 883
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	663 536	737 548


დირექტორი:
 ც.საგანელიძე

მთავარი ბუღალტერი :

შპს „მეგაქსი MEGAX“,
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

ლარი	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება	(739 382)	127 723
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის	(104 532)	63 210
- გადასახადები	58 719	15 787
- ცვეთა	50 945	40 089
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	-	73 040
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	(152 826)	(13 404)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	(61 371)	(52 303)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	651 133	305 679
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	(72 475)	9 811
- მარაგები	992 353	(8 400)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(269 221)	415 400
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(33 107)	(111 131)
- ანარიცხები	33 584	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(192 781)	496 612
- გადახდილი პროცენტები	(58 643)	(44 749)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(251 424)	451 862
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
- ძირითადი საშუალებების შეძენა	(2 600)	(92 477)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2 600)	(92 477)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
- სასესხო ვალდებულების ზრდა	293 490	229 439
- გადახდილი დივიდენდები	(328 581)	(361 611)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(35 091)	(132 171)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის		
ზრდა (კლება)	(289 115)	227 214
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი	737 548	488 452
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	215 103	21 883
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი	663 536	737 548

დირექტორი:
 ც.საგანელიძე



მთავარი ბუღალტერი:



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეგაიქსი MEGAX“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400060429

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით. შპს „მეგაიქსი MEGAX“ ავეჯის იმპორტს ახორციელებს ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან: ბელორუსია, პოლონეთი და ევროპის სხვა ქვეყნებიდან.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რ/ნ.ც.დადიანის ქ.34, კორპ.12, ბ.46.

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის პარტნიორები არიან:

- ბესიკ გაბრიჭიძე (პ/ნ 501010008029) - 60%
- ზურაბ მაჭანკალაძე (პ/ნ 04001001991) - 20%
- ზაქარ რუსტამოვი (პ/ნ 524001001529) - 10%
- მარიამი მელიქიძე (პ/ნ 501020007675) - 10%

კომპანიის დირექტორია ცაგო საგანელიძე (პ/ნ 504001011888).

2. ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლი. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებითი დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ

მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედეგის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის

საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

შენობები, ნაგებობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	2-5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-5 წელი
ტრანსპორტი	5 -წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	6-7 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომსახურებისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალების განმარტებას. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით, საწყობების მიხედვით.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში. საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ

პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ,

სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

4. ძირითადი საშუალებები

ლარში	მანქანა- დანადგარები	ავეჯი	კომპიუტერული ტექნიკა	დაცვის სისტემა	სხვა ძირითადი საშუალებები	სარეკლამო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 941	15 693	26 664	5 622	113 616	5 701	163 177	334 414
შესყიდვა	-	-	-				2 600	2 600
გასვლა	-					982		982
გაუფასურება	-							-
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 941	15 693	26 664	5 622	113 616	4 719	165 777	336 032
დაგროვილი ცვეთა								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 364	11 533	10 028	2 249	63 316	1 368	49 112	139 971
ცვეთის ხარჯი გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	709	1 603	4 799	1 012	16 812	1 026	24 341	50 302
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	3 074	13 135	14 828	3 261	80 128	2 394	73 454	190 274
საბალანსო ღირებულება								
2018 წლის ბოლოს	1 576	4 161	16 635	3 373	50 300	4 333	114 065	194 443
2019 წლის ბოლოს	867	2 558	11 836	2 361	33 489	2 324	92 323	145 759

5. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	5 702			5 702
შემოსვლა	-			-
გასვლა				-
2019 წლის ბოლოს	5 702	-	-	5 702

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია				
2018 წლის ბოლოს	3 829			3 829
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	643			643
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2018 წლის ბოლოს	4 472	-	-	4 472

	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
საბალანსო რირებულება				
2018 წლის ბოლოს	1 873	-	-	1 873
2019 წლის ბოლოს	1 230	-	-	1 230

6. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	659 007	709 801
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4 337	25 003
USD უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	183	1 254
EURO უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	9	1 490
სულ	663 536	737 548

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	602 862	594 418
რეალიზაცია პლასტიკური	1 300	14 070
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(114 084)	(114 084)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	77 871	1 070
სულ:	567 949	495 473

8. მარაგები

მარაგები 2019 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	31/12/2019	31/12/2018
საქონელი	1 096 255	2 088 607
სულ:	1 096 255	2 088 607

9. გრძელვადიანი სესხები

ლარი	გრძელვადიანი	
	31/12/2019	31/12/2018
სს თიბისი ბანკის სესხი	-	602 235
სს საქართველოს ბანკის სესხი	252 589	-
სს საქართველოს ბანკის სესხი	643 136	-
სულ სესხები	895 725	602 235

სესხები დენომინირებულია ევროებში, გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა შესაბამისად 2020 წლის თებერვალი და 2023 წლის სექტემბერი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5.5%-ს.

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2019	31/12/2018
საქონლის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	982 700	1 057 720
მიღებული ავანსები	895 189	1 093 404
მომსახურება ფიზიკური პირებისაგან	41	18 484.00
სხვა მომსახურება ფიზიკური პირებისაგან	3 530	-
გადასახდენი ხელფასები		8 687
ვალდებულებები მიღებული მომსახურებებიდან	560 559	532 945
სულ	2 442 019	2 711 240

11. ამონაგები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	5 382 745.53	9 246 460.75
სულ	5 382 746	9 246 461

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	578 758	610 196
მივლინების ხარჯები	14 726	7 376
სოციალური დანარიცხები	18 520	-
დებიტორული დავალიანების გაუფასურება	-	73 040
საიჯარო ქირა	719 656	867 266
კომუნალური	47 592	36 186
კომუნიკაციის ხარჯები	19 695	25 646
დაზღვევა	10 538	21 739
რემონტი	3 315	-
კომპიუტერის ხარჯები	842	1 411
საკონსულტაციო ხარჯები	63 105	61 474
ცვეთა და ამორტიზაცია	50 945	40 089
სხვა საგადასახადო ხარჯი	1 715	1 366
სხვა საერთო ხარჯი	24 269	28 466
ხარჯი რომელიც არ გამოიქვეითება	9 228	4 446
სულ	1 562 906	1 778 701

13. მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

ლარი	31/12/2019	31/12/2018
რეკლამის ხარჯები	94 974.28	254 829.01
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	-	63.56
მიწოდების სხვა ხარჯები	6 266.66	-
მომსახურება ფიზიკური პირებისაგან	424 117.68	677 570.50
სულ	525 359	932 463

14. სხვა შემოსულობები/ზარალი - წმინდა

ლარი	31/12/2019	31/12/2018
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება	(24 696.39)	(26 337)
საკუროსო სხვაობით მიღებული ზარალი	177 522.01	39 741
სულ	152 826	13 404

15. ფინანსური შემოსავალი

ლარი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

31/12/2019	31/12/2018
9 503.00	10
9503	10

16. ფინანსური ხარჯი

ლარი

საპროცენტო ხარჯები

დარიცხული საურავი

სხვა არასაოპერაციო ხარჯები

სულ

31/12/2019	31/12/2018
58 642.71	44 749.34
9 185.93	7 563.39
3 045.00	-
70 874	52 313

17. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ფინანსური ვალდებულებები

ლარი

2019 წლის დასაწყისში

სესხები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წლის ბოლოს

გრძელვადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი ვალდებულებები
602 235	2 711 240
895 725	-
-	2 442 019
895 725	2 442 019

ფინანსური აქტივები

ლარი

2019 წლის დასაწყისში

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2019 წლის ბოლოს

გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი აქტივები
-	1 233 022
-	663 536
-	567 949
-	1 231 485

18. პირობითი ვალდებულება

კომპანიას სასამართლოში შეტანილი არ აქვს სარჩელები, კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2020 წელს კომპანიამ აღმოაჩინა რიგი შეცდომები, აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2018 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, აღნიშნული დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“-ს შესახებ, აღნიშნულმა დადგენილებამ არ შეუზღუდა კომპანიას ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, თუმცა აღნიშნული დადგენილების სხვა შეზღუდვებმა და მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებთანაც საქართველოს აქვთ ურთიერთობა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნულ რეგულაციებში კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. 2019 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.